საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/145
26.02.2024

ბრძანება

145-01-4-202402261334

შპს ,,სკა ჯგუფის“ (ს/ნ 405267937) 2024 წლის 26 იანვრის N01/483 საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განუხილველად იქნეს დატოვებული შპს ,,სკა ჯგუფის“ (ს/ნ 405267937) 2024 წლის 26 იანვრის N01/483 საჩივარი.

2. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს პირს უფლებას, მომართოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით საკითხის შესწავლის მოთხოვნით.

3. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს სააგენტოს უფლებას საჩივრის გახმობამდე წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინიციატივით მოკვლევის წარმოებისთვის.

4. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს ,,სკა ჯგუფის“ (ს/ნ 405267937) განცხადება საჩივრის გახმობის შესახებ (თარიღი: 26.02.2024; რეგ: N 01/1092).

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე